



**რვაენი**

# კვემსას

**რედაქცია**      **კანტორა**

საზაფხულო მასალა უნდა იყოს გაზეთის ფასი; ერთი თვით 20 მან, დაწერილი გარკვეულად და ერთი თვით 50 მ. განცხადების ფასი: გვერდზე, წერილში აღნიშნული უნდა სტრატეგიული პერიოდის პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. იყოს ავტორის ვინაობა და მისი ქალაქი გარეუბანი მიღებული განცხადება ღირს ერთი თვით. სამგლოვარიო განცხადება: თითოეული არაუმეტეს სამი გამოცხადებისა 12 საათამდე 25 მ., 12 საათის შემდეგ 30 მან.

**რედაქცია** ღია: დილის 9-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.

**კანტორა** ღია: დილის 8-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჭხაძის ს. ფოსტის ადრესი: ქუთაისის ფოსტის ფული № 80.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

ჩვენი ქვეყანას რედაქციის კანტორასთან დაარსდა გაზეთის ფონდი. მოქალაქეებო გაიღეთ შემოწირულობანი გაზეთის გამოცემის საქმე მკითხველთა თანაგრძნობაზე და მოკიდებული.

გულ დათუთქულნი დედა მამა ნადეენა ნესტორის ასული და ივანე გლახუას ძე ცანავა. ბიძა და ბიძოლა გიგო გლახუას ძე და ანა იესეს ასული ცანავა. დები: სონა და თინა, ბიძაშვილები: ლუბა, ლეო, რაქდენი, ლავრენტი და ამბაკო ცანავები. დეიდები: მინადორა, ოლიდა და ოლიდა ჯიჯაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას

**ლეგან ივანეს ძის ცანავას**

დაკრძალვა მოხდება ოლასკურის სასაფლაოზე ამა ივნისის 5-ს, დღით ხუთშაბათს, ნაშუადღევს ხუთ საათზე, ძველ ხონის ქუჩაზე, საქ. საბ. ლოდან პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 საათ. 2-2

ქვრივი მატრონა ლევანის ასული ჩიქოვანისა და შვილები: კესა გეგეკორი, პარმენ, პელაგია და მინადორა ჩიქოვანები და სიძე არსენ გეგეკორები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 28 ივნისს ძვ. სტ. გორდის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი პრაპორშიკ

**ანტონ ზურაბის ძის ჩიქოვანის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 1-1

დამწუხრებული ქვრივი ავრამინა ჩიქოვანისა და მისი არხიმანდრიტი კლემენტის უღრმესი ტანჯვით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ შაბათს 25 ივნისს (ძვ. სტ.) გადახდილი იქნება საფრინოს ეკლესიაზე წლის წირვა და პანაშვიდი სიკვდილამდე დაუვიწყარის პირველის ძვირფასი ქმრის და მეორესი საყვარელი ძის

**ანტონ ზურაბის ძე ჩიქოვანის**

სულის მოსახსენებლად. წირვის დასაწყისი 9 საათზე. 2-1

გადასვლის გამო დიკვიდაცია წდება ყველა დარჩენილი საგადასვლელი სეფით ნაკეთები საქონლისა.

ამაკაცის პერანგები, ვარატნიკები, ვალსტუები და ტყავის სანდლები ყველა ზომისა, მალაზიის მოწყობილობა რომელიც შესდგება „პოლკეზიდან“ დაძველებიდან და შკაფებიდან. მისამართი: ქარვასლის ქუჩა მალაზია „უნივერსალი“ ძმ. ჩილინგარაძეების სახლი ვაჟთა გიმნაზიის პირდაპირ. 6-6.

შაბათს 7 ივნისს, ქუთ. შმ. ნინოს სასწავ. ლში საღამოს 7 საათზე დანიშნულია

**პ რ ი მ ბ ე**

ქუთაისის დარიბ ბავშვებზე მზრუნველ საზოგადოების, ყოფილი წევრებისა, თავმჯდომარის მოადგილე უმორჩილესად გათხოვთ კრებას აუცილებლად დაესწროთ.

**ქუთაისის საურთიერო ნდობის საზოგადოების გამგეობა**

ამით აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ 1 მაისიდან ბანკის ოპერაციები ჩავენებული იქნის თავის ძველ კალანოტში: სახელდასველ ანგარიშებში (ТОРЧЕТ) ფულის მიღება და გაცემა ამ დღიდან შემოტანილის ხიება დაუბრკოლებლივ, ეგრეთვე ნაღდდება

ეგრეთვე თამასუქები მოკლე ვადიანი და სხვა. ქუთაისის საურთიერო ნდობის საზოგადოების გამგეობა. 8-3

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა .**

საქველმოქმედო მიზნისათვის დანიშნული სენსები „რადიუმში“ აღარ შესდგება, მსურველებს ფული შეუძლიან დაიბრუნონ გიმნაზიის შხოლოდ ხუთშაბათს 12-2 საათამდე. 1-1

**ეპიპი** მედიცინისა საზღვარ გარეთელი უნივერსიტეტი. **ფ. ი. კაკიძე** ლაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს ქალთა, საზარდის (ტრიბერი, სიფილისი. ექიმობა 606 და 914) და მინაგანთა. პუშკინის ქუჩა. საკუთარი სახლი. პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

**ეპიპი** ბიბოტორ ნიკიფორის ძე **სუსკიძე** ლებულობს ავადმყოფებს დილით 9-2 საათამდე, საღამოს 4-7 საათამდე. ძველი თბილისის ქუჩა, ქორქაშვილის სახლი. 24-17

**ეპიპი** **ნ. ა. მენიძე** ლებულობს ავადმყოფებს დილით 9-3 საათამდე. ივანოვის ქუჩა, ლუჩაძის სახლი. 24-13

**რუსეთის გოლოლინი.**

რუსეთი დღეს პრობლემაა. მონარქიულ და არისტოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული სახელმწიფო ერთბაშად გადაეშვა კომუნისტურ წესწყობილებსაკენ.

ლენინმა საცემბით გაამართლა ბაბუნის თქმა:

კაცობრიობა პირველყოფილ ქაოსს უნდა დაუბრუნოთ და აქედან მოვახდინოთ გაწმენდა.

რუსეთი პირველი პრაქტიკული ცდა კომუნისტური წესწყობილებისა და ამ ცდაში ჯერ ჯერობით მხოლოდ სოციალ-პოლიტიკური ქაოსი კულმინაციადა.

ეს ე თის მხრით, მეორე მხრით დენიკინ-კოლჩაკის მოქმედება საშინელ ბოლიტიკურ ეპოპეიას ჰქმნის.

ორი ძალა, წითელი და თეთრი არმია ცდილობს რუსეთის პრობლემის გადაკრას, მაგრამ ჩვენ ამ ორომტრიულში არსებითად დინასტიურ ბრძოლას უფრო

გაშინებთ ვიდრე კონსტიტუციის ძირითად გადახალისებისათვის ბრძოლას.

ერთი რამ აქვთ საერთო ლენინსა და დენიკინს: ესაა რუსეთის ძველ ტერიტორიალურ საზღვრებში აღდგენა.

ლენინი იქნება თუ დენიკინი ასეთი მთლიანი რუსეთის მბრძანებელი, ჩვენთვის სულ ერთია.

მთლიანი რუსეთის წარმოდგენით ჩვენს მებსიერებაში მკედრები და ძველი ლებოტები სდგებიან საფლავებიდან.

და გვაგონდება ჩვენ ჩვენი ეროვნული ბიროვნების შეურაცყოფის ისტორია ფინოლოგოგურად არ ძალგვიძს შეურიგდეთ ამ ფაქტსა და რევოლიუციის ლოლიკაც მხოლოდ იმაში ეზოვეთ რომ მოხალისეთა არმიის საფრთხემ შექმნა საქართველო აზერბეიჯანის კოალიცია.

ზვიადი მთაც ჩვენთანაა ისტორიულ ქვეყნისა და ისტორიულ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამიერ-კავკასია იყო მთლიანი რუსეთის უავარჯენი და მხოლოდ ჩვენი საქვეყნო მოვალეობაა რუსეთი საკუთარ ფეხზე სიარულს მივაჩვიოთ.

კარგად სთქვა ნ. რამიშვილმა: „ამ შემთხვევაში ჩვენ ვიქნებით დამკველი არა მარტო რევოლიუციონერ დემოკრატიის ტრადიციისა, არამედ ჩვენ მამა-პაპათა ტრადიციისა, რომელნიც ყოველთვის მედგრად იბრძოდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის“.

მაგრამ კარგად თქმს კარგად შესრულება სჭირია და არავის არ მოვთხოვება ამ საქიროების შეგნება ისე როგორც საქართველოს მთავრობას.

ისტორიამ დაგვაჩვენა რუსეთის პრობლემის ერთი ნაწილის გადაჭრა.

# პ რ ე ს ა.

## ზურგის ფრონტზე.

გაზ. „საქართველო“ ეხება ჩვენი რესპუბლიკის შინაგან ძალიან-განწყობილებას. სტუმართმოყვარე ხალხი ვართ და ეს ჩვენი ტრადიცია სხვათაშორის იმაშიდაც გამოვიჩინეთ, რომ ჩვენი ქვეყნის დაუძინებელ მტრებს ჩვენსავე ოჯახში აქვთ უშიშარი თავშესაფარი. დღეს საქართველოს პოლიტიკური ტრადიცია იწვევდა დენიკინთან ბრძოლის მოლოდინში და ასეთს პირობებში ყოველად შეუწყნარებელი იმ ხალხის ჩვენს შორის ყოფნა, რომელთა შესახებ გაზ. „საქართველო“ შემდეგს სწერს:

თბილისში დღეს იმდენია ძველი გამოცდილი და ნაომარი რუსის ოფიცრობა, დენიკინის იდეური მიმდევარი და მისი ფაქტური დამხმარე, რომ ორი პოლკი თამამად შესდგება. თვლის დახამხამებზე, მათ თოფებიც გაუჩნდებათ და სხვა საომარი მასალაც. მათ მიჰყვება ყველა რუსის შობელე, როგორც უადგილოდ დარჩენილი; ისე ჩვენი სტუმართმოყვარე რესპუბლიკის სამსახურში მყოფიც. არა გვაქვს საბუთი, ზოგიერთ სხვა ეროვნებასაც დავედროთ. ამ ეროვნებათა არამც თუ აქტიური წევრები, არამედ უფრო ფართე მასაც გვერდში ამოუდგება აჯანყებულებს. და ვინაიდან ინგლისის აქაური სარდლობა დენიკინს თოფი არაღს და ტანკებს აქედან ჩრდილო-კავკასიაში აწვდის, სრული საბუთი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ თუ დენიკინის აქტიურმა მიმდევრებმა თბილისში თავი წამოაწყვეს, ინგლისის სარდლობა მათ თოფითაც და ფულითაც დახმარებას აღმოუჩენს... ამგვარად, „კოლუმბუსი“-ს მოსახლენად დიდძალი ცოცხალი და მკვდარი მასალა აწყვიტა თბილისში. — რომ ამხ იფეთქოს, საქირაა მხოლოდ, დენიკინის ჯარისა და საქართველოს ჯარის ბირისპირ შეგბა

### სპირიტოზ კედლას სიტყვა და ფუნდამენტალი კრების 1 ივნისის საგანგებო კრებაზე.

საქართველოს შეიღწა! ჩვენი სამშობლოს უკვდავება და ბრწყინვალეობა ასეთის სიმტკიცით და მომზიდლობით ამ დარბაზში არასოდეს არ ჩამოშვებულა. არასოდეს მისი სული აქ ასე არ აღფრთოვანებულა და არ აღუვსია ნეტარებით და ძლიერებით ჩვენი არსება.

დღევანდელი დღე ისტორიულია ამ მხრით, იგი ზეიმიად სამშობლოს იდეის გამარჯვების საქართველოს ახლად დაბადების, მისი სულით და ხორციით აღდგენის დღეა.

ამ დღეს გვიმართებს მოვიგონოთ, ვინც ყველაზე უფრო ღრმად ჩასწვდა საქართველოს სულს, არსებას, მის ტანჯვას და ლხინს და ვინც ერის უცვალებო სულის ფსკერზე ნაპოვნი მარგალიტები და განცდილი გრძობა ჩამოგვისხა უქნობი მშვენიერების ფორმაში. ეს ვინმე — უკვდავი შოთა, რომელიც გვიმღერის: „ვიარდი უეკლოთ არავის მოუტრეპინაო“.

დიდი საქართველოს შეიღწა! ვარდი უეკლოთ არავის მოუტრეპინაო... ჩვენ დავიბრუნეთ ჩვენი ძვირფასი და სულმდგმელი ვარდი: აღვადგინეთ სამშობლოს დამოუკიდებლობა, პირობა მისი უკვდავებისა. და ამ ვარდის მოსატყუებლად ჩვენს წინააღმდეგ მტერნი აღიმტკიცნენ და მოიწყვიან. ვინ არიან ეს მტრები? უკვე ითქვა, თუ ვინც არიან. ეს დენიკინია. ითქვა ისიც, თუ ვინ შევლის მას. ვიცით, რომ დენიკინი ფულსა და იარაღს ინგლისის სარდლობისაგან აღებულობს. დიდი! ეს ამბავი ჩვენ ვიცით, ამ ფაქტს ქართველი ხალხი დღესაც სათანადოთ დააფასებს; ამ სახედისწერო ჟამს და ხელს არ დაივიწყებს; უკვე სამშვიდობას

და ჩვენი, თუნდაც წუთიერი უკან დახევა. ქართველი ჩვენს თავზე დამტკიცებდა სწორედ თბილისში მყოფი და მომქმედი რუსის ოფიცრობა, მთა ხელეობა და უპროფესიო ხალხი და ის სხვა და სხვა ეროვნება, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იბრძოდნენ კიდევ.

არ იცის ეს ჩვენმა მთავრობამ? ძალიან კარგადაც იცის!

### სოხის ბრძოლის ველი.

(თბერატული ცნობა). მოწინააღმდეგე, (200 კაცმა) დილით შემოუტია „222“ სიმაღლეს, მაგრამ უკუქცეულ იქნა დიდ ზარალით. მტრის მხვერავები ხრასტაფოროვოში შეიკრნენ. ჩვენმა მხვერავებმა აღმოაჩინეს მტრის საყარაულო პუნქტები ახალ ბასიანში, ახალ დაბაში (Новый город) და ესტონთა სიმაღლეთა სამხრეთ კალთებზე. ჩვენი მოწინავე რაზმებს ახალშენ როგორღონოში მტრმა სროლა აუტეხა მოკლულია მხედარი ისაკაშვილი და დაჭრილია მხედარი ივანიძე.

სოხუმის ჯარების უფროსი პოლკ. კარგარეთელი.

### ქართუ მხიპე პირობათა.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ პარიზიდან საქართველოს დელეგაციისაგან შემდეგი ცნობა მიიღო:

საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის თავმჯდომარემ კარლო ჩხეიძემ ინახულა საზავო კონფერენციის წევრი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰიშონი და გააცნო შინაარსი საქართველოს მოთხოვნებთან, რომელსაც დელეგაცია წარუდგინა საზავო კონფერენციას. ჰიშონმა განუცხადა ჩხეიძეს, რომ საქართველოს შესახებ საკითხი საგვებით ნათელია და ის არ შედავს არავითარ დამატკობებელ მიზეზებს, რომ ეს საკითხი დადებით არ გადაწყდესო.

გასული. (მაქავარიანი: სირცხვილი). მაგრამ აქ განმარტება საჭირო. მე მწამს, რომ ლოიდ ჯორჯის მაღალი შუბლი და მისი მსოფლიო პოლიტიკა აქ არაფერ შუაშია. ის ამ სათაქილო საქმეში არ ურევია. ჩვენის რწმენით არც კონფერენციის, არც პარიზის კაბინეტის და არც, მით უმეტეს, მსოფლიო მოქალაქის ვილსონის პოლიტიკა ინტრიგებს და ომს არ დაუწყებს პატარა საქართველოს, იმისთვის რომ მან თავისი დამოუკიდებლობა დაიბრუნა და დღეს ამ დამოუკიდებლობას მედგრად და ხარბად იცავს. ლოიდ ჯორჯის კაბინეტის სასახლოდ, ისე როგორც მთელი ინგლისისა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველაფერი ეს აქ ითიხნება რომ ყოველივე ეს ადგილობრივი სარდლობის საქმეა. ადგილობრივი სარდლობა, მხვერავი გაუგებრობის და ინსინუაციების, ხელს უწყობს დენიკინს აფხაქურ მისწრაფებაში, რომ წაახლოს პატარა გმირი ხალხი და გაუთახსიროს ის ღვთიური და წმიდა გრძობა, რომელიც სახელოვანად დაუცავს საუკუნეთა სიგრძეზე. მაგრამ ეს არ მოხდება (ტაში). სომართლის გამარჯვება გვაფრთოვანებს და იმედს გვიმტკიცებს.

ახლა ვიკითხოთ, ვინ დაუხვდება დენიკინს? ყველა, ვისთვისაც იგი თავის ხმალს ლესავს: მთა, საქართველო, აზერბეიჯანი და... მას უნდა დაუხვდეს სომხეთიც! ჩვენ ვიცნობთ მთას. მის დროებითი დამარცხება დენიკინის მიერ — ნაკლებად მისივე მთავრობის მუხანათობის — მთაზე აზრს ვერ შეგვაძვლევინებს. საუკუნოებით ვიცნობთ თავისუფლების მოყვარულს გალტინელ მთას. ვიცით, რომ მთელ ნახევარსაუკუნეზე მეტს ებრძოლა იგი რუსეთის იმპერიას და მთელ მის ჯარს, ისე რომ დამარცხება არ უნახავს

## გერმანიის კონფედერაციის და საქართველოს შთავრება.

საქართველოს მთავრობას მოუვიდა საზღვარ-გარეთიდან ცნობები და ოქმები გერმანიის სოციალისტურ კონფერენციისა. კონფერენციის მსჯელობა ჰქონია აკჩენკელის მოხსენებით საქართველოს საკითხებზე და შემდეგი გადაწყვეტინა: 1) აღიაროს და დაადასტუროს საქართველოს დამოუკიდებლობა 2) ამ დადგენილებას ხელს აწერენ იქ დამსწრე რუსის სოციალისტები (მენშევიკები, ესტრები და სხვ.) 3) ეცნობოს ეს პარიზის კონფერენციას, რათა მანაც აღიაროს საქართველოს დამოუკიდებლობა.

### მთავრობაში.

მთავრობამ დაადგინა: შრომის უწყებასთან დაარსდეს სატარიფო პალატა შრომის ხელფასის საკითხის მოწესრიგებისათვის.

რესპუბლიკის სკოლებში ტან-ვარჯიშობის მოსაგვარებლად 5,000 მანეთი გადაედოს.

კ. ფოცხვერაშვილის მიერ დაწერილ ჰიმნის „დიდება“-ს ეროვნულ ჰიმნად გამოცხადების საკითხი დამფუძნებელ კრების ხელგონების კომისიას გადაეცეს.

მსახიობ ნინო ჩხეიძეს მისი 25 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავ ჯილდოდ მიეცეს ეტონი (სახელმწიფო ლტობი) და 5,000 მანეთი.

## დებეშები.

საქ. დეპ. სააგენტო.  
3 ივნისი.  
ბალშევიკების ცნობები.  
მოსკოვი. ივნისის 2. ოთხთა საბჭომ გერმანიის საპასუხო წინადადების გან-

და სულით არ დაცემულა. მთა იქნება ჩვენი თანამებრძოლი დენიკინის წინააღმდეგ. ჩვენს მოწოდებაზე, იგი იარაღით ხელში აღსდგება, სამშობლოს სიყვარულით განათებული.

მთავრობის წარმომადგენლისაგან ესცანიით რომ აზერბეიჯანი იარაღით შეეგებება დენიკინს და ჩვენთან ერთად იომებს. ჩვენ ამაში დარწმუნებული ვიყავით დიდის ხნიდან, სინამდვილემ მოლოდინი გავვიმართლა და ჩვენ ეს გვახარებს. აზერბაიჯანის ხალხი ღირსია დამოუკიდებლობის და დიდი პატივისცემის.

მაგრამ აქ ამავ დროს არაფერი თქმულა, თუ რა პოზიციაზე სდგას მესამე რესპუბლიკა, ამიერ-კავკასიის მესამე დამოუკიდებელი სახელმწიფო, — სომხეთი.

ადგილიდან შევეკითხეთ ბნ სამხედრო მინისტრს, ეთქვა, თუ სომხეთი რა პოზიციაზე იდგა, რას აპირებდა. მინისტრმა გაიცინა და პასუხი არ გამცა. მისი ჩაინება და გაუჩეხება საუკეთესო პასუხია, მოქალაქე, ჩემთვისაც და თქვენთვისაც. სჩანს, სომხეთი და მისი მთავრობა განზე გადავა; სჩანს, მას სასახლოდ შიანია ერთ ბედში მყოფი მეზობლები ბრძოლის ველზე მარტო დასტოვოს, თუმცა კარგათ იცის, რომ მათი დამარცხება, სომხეთის დამარცხებაც არის და მათი დამოკიდებულობის მოსპობა სომხეთის დამოუკიდებლობის მოსპობაც. ეტყობა, სომხეთის ბრძოლა არ სურს დამოუკიდებლობისათვის; სჩანს, იგი თვის ღირსად არ მიიჩნიათ. მაგრამ თუ ბედმა იპოვინა და დამარცხებული დენიკინი უკუ ვაქციეთ, და ჩვენი დამოუკიდებლობა შევინარჩუნეთ, სომხეთი მშვენიერად ისარგებლეს სხვისი სისხლით და მხვერავლით განმტკიცებულის დამოუკიდებლობით და კიდევ შემოგვედევება ჩვენს საკუთარ ტე-

ხილვა დაიწყო ვილსონმა გერმანელებსა და მოკავშირეებს შორის. შეუძლებელია თავის თავზე მიიღოს და საზავო ხელშეკრულებაში აღიაროს მოთხოვნა გერმანიის შეტანას მოითხოვს. ვილშელმ 2-ს დასჯის შესახებ ვილსონი ფიქრობს, რომ ვილშელმი უნდა გადაეცეს (?) სასამართლოს. მოსკოვი, მაის. 31. გერმანიის დამფუძნებელი კრების საზავო კომისიის სხდომაზე გერმანიის სახალხო მემარჯვენე-სოციალისტურ პარტიის ლიდერებმა კურლიანდიდან და ლტვიდან გერმანიის ჯარის გამოყენება მოითხოვეს. №-ის არიის შტაბი. მაისის 29. ლაშით წითელმა ჯარმა სადგ. რაევკა დაიჭირა და მოწინააღმდეგის ჯავშნიანი მატარებელი განადგურა. უფაში ჩვენი იქიდან გამოსვლის შემდეგ პანკა გამეფდა. კონსტანტის სიმაგრის რაიონში ჩვენმა ჯარმა სოფელი კოპერი დაიჭირა. დილით მოწინააღმდეგის გემები ნახევარი საათის განმავლობაში ჩვენ სანაპიროებს უშენდა.

მოსკოვი, ივნისის 2. გერმანიის საპასუხო წინადადებებში აღნიშნულია, რომ გერმანია რუსეთის არცერთ ოქლს არ მოითხოვს. აგრეთვე არ ფიქრობს აიღოს თავის თავზე რუსეთის ტერიტორიაზე ახალ შემდგარ სახელმწიფოებში სახელმწიფოებრივ წესრიგის აღდგენა. ეს თვით რუსეთის საშინაო საქმეა. ის ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლებიც მოკავშირე სახელმწიფოებსა და რუსეთის სახელმწიფოებს შორის არის დადებული, გერმანიის შეუძლია აღიაროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დარწმუნდება, რომ ისინი გერმანიას არ შეუშლიან ხელს რუსეთთან და რუსეთის სახელმწიფოებთან მეგობრული დამოკიდებულების დაქვერასი.

### გერმანული პრესის ცნობები.

პარიზის გაზ. „ტუმანიტე“ იუწყება, რომ ლატიშია ჯარმა ვენდერნი დაიჭირა. გაზეთის სიტყვით, ლატიშია და ესტონელითა ფრონტის გაერთიანება რამდენიმე დღეში მოხდება.

რიტორიაში. თუ დღეს სომხეთმა ასეთი ტაქტი სასახლოდ მიიჩნია, ვშიშობთ სასახლოდაც არ ჩასთვალოს და მოხერხებულადაც არ იცნოს ზურგიდან მახვილი ჩაგვეცეს, როდესაც მტერთან ხელჩართული ბრძოლა გვექნება! მთლათ არ არის ამას უჩვეულო. ვალდებულად ვრაცხთ ჩვენ თავს გავაფრთხილოთ სომხობა ამასზე ხელი აიღოს, რაგინდ სასახლოდაც მთა ჩნდეს იგი, თორემ საქართველო ისე არ ჩავა საფლავეში რომ მესაფლავე თან არ ჩაიყოლიოს (ტაში).

მესამე დამხდურია საქართველო. საქართველო ტრადიციული ღირსებით შეხვდა ამ მომენტს. საქართველო მთელი კავკასიის გულია, მისი პოლიტიკური, კულტურული და ტოპოგრაფიული გული. ამ საქართველოს დღევანდელმა გარემოებამ ახალი მოვალეობა დააკისრა, ან უკეთ ძველი როლი მოაგონა.

მე მრწამს, რომ კავკასიის ეს გული ამგვრდება ძლიერის გრძობით და მტკიცე გარდაწყვეტილებით და რომ იგი მოძრაობაში მოიყვანს კავკასიის ყველა ნაწილებს. საქართველოს საყვარი კავკასიის დასძრავს, შემოიკრებს ყველა ერებს და მტერი შეიმუხრება!

მე მრწამს საქართველოს მიერ სახელოვანი აღსრულება თვის ისტორიული დანიშნულების.

საქართველოს სამმა მთავარმა ელემენტმა ეს მიზანი უნდა განახორციელოს, ეს საქმე უნდა გააკეთოს. ერთი მთავრობა, მეორე — თვით მხედრობა და მესამე დანარჩენი საქართველო, დიდი დანაშაურობა ქვეყნის მეთაური და მესაქეა მთავრობა. მისი როლი და მოვალეობა უპირველესი მნიშვნელობისაა და მეტად პასუხსაგები. რწმენით



მადლობა უფლებს, რომ ჩვენ მოვსწავრობით და მოწოდებით ვართ ამ უაღრესად ღირსეულ ბედნიერებისა.

თავისუფლება—დამოუკიდებლობა ის ტიტულ გვასაგონი, ზედამატებით, სასწრაფო მოქმედებები და ცხოველმყოფელი ძალაა, რომლის შეგავსებით იზადება, იწოდება იფურჩქნება, ძლიერდება და ჰყვავდება გზის გენია, გზის შემოქმედებითი ნიჭი და სული, და დაბოლოს ამ ნიადაგზე უკვე ჩნდება კულტურა, რომელიც არის თავისუფალ ეროვნულ სულის ადრინდელი ხელშეწყობისა და კულტურის ღირსებასთან დაკავშირებული ნიშანდობილი განიხილება გზის დიდება, სახელი და ბრწყინვალეობა. ყოველ ერს საერთო ნაკაცობრივი კულტურის სამარადისო საღაროში შეატყვის სხვა თავის სულიერ უკვდავებისა და მუდმივობისა. თავისუფლების ამ დიდ მნიშვნელობითა იხსენება ის მოვლენა, რომ ყოველი ერი ინსტიტუტურად თუ შეგნებულად ბუნებრივად ეტრფის თავის „წმიდათაწმიდას“ ტიტულ და საამო თავისუფლებას; თავის გვლება, იცავს, ინახავს მას მთელი თავისი ძალღონით, სასიკვდილო ომს უცხადებს უველას, ვინც მოინდომებს წართმევა-მოსპობას ამ მის თვითარსებობას დაუფასებელ განძს და საუნჯეს.

ქართველ ერს უძველეს დროიდან თავის ისტორიულ არსებობისა კარგათჰქონდა შეგნებული და გათვალისწინებული. ეს უაღრესი მნიშვნელობა ეროვნულ პოლიტიკურ თავისუფლებისა, როდესაც მან მის დაცვა შეინახა-შენარჩუნებას შეიძლია მთელი ძალღონე თავის მრავალ საუკუნეთა ცხოვრებისა; არ დაზოგა და თავისუფლების საკურთხეველზე მსხვერპლად შესწირა ბევრი თავისი ღირსეული შვილები, რომელთა უკვდავი და შრომანდობით მოხილვისხელეები ამკობენ და ამშვენებენ ჩვენი ერის და ქვეყნის ისტორიას. ქართველმა ერმა უძველეს დროიდან დაიკავა ქვეყნიერების ერთი საუკეთესო, ღამაზი და მშვენიერი კუთხე, რომელიც მიუხედავად მრავალ-რეპროდუქციონისა ტყვედ მოქიშვე, მოწურუნე და მოსისხლე მტერთა და, მიუხედავად იმისა, რომ მასზე გაიარა ევროპისაკენ მიმავალი აზის სხვა და სხვა გაუნათლებელ ხალხთა ურდოებმა, მან გაიმარჯვა და შემინარჩუნა ეს მართლაც მომხიბლავი მხარე; შექმნა თამარ მეფის ბრწყინვალე და ოქროს ხანა. აწარმოვა ბევრი სამედიცინო და სახელოვანი ომები, რომელთა შექმნენ ქართველ ხალხს ფარხმალის ძლიერების სახელი; განავითარა ყოველი მხარე ცხოვრებისა. დაარსა შინ და გარეთ ბევრი განმანათლებელი ცენტრები; შექმნა მაღალი კულტურა და მდიდარი ლიტერატურა; უაღრესად განავითარა და განამდიდრა ენა და მწიგნობრობა. ათასობით დარჩენილი და ჩვენამდის მოღმუშალ პერგამენტზე დაწერილი 7—17 საუკუნის ძვირფასი ხელნაწერები, დაკუნძილი, როგორც ჩვენ მუხეუმებში, აგრეთვე იტრუსალიში, სინას და ათონის, ყოფილ ქართულ მონასტრებში, მკურმეტყველურად დადიანებენ ამას; მოქმედა თავისი ისედაც ღამაზი ქვეყანა ხელოვნების და ხელომოდღერების შედევრებით და ამ ხელოვნებაში მან შეიტანა თავისი საკუთარი შემოქმედება. მე 12 საუკუნეში ქვეყნის ზურგზედ მართლად-მართლ ერთი ქართველი ერი იყო, რომელსაც უფლება ჰქონდა გაშლილი ბაიროლებით და ეროვნული თავის დროებით შესუღოყო იერუსალიმში. ასეთი ძლიერა მოსილობით და დიდებით ქართველმა ერმა მოაღწია მე 19 საუკუნის კარგამდე, როდესაც, მეტად შევიწროებული პირობებში ჩავარდნილს, რომ შეინახა თავის ეროვნული სული, იძულებული იყო შეეფარებია თავი და დაკავშირებოდა ისეთ მძლავრ სახელმწიფოს, როგორც მაშინ იყო რუსეთი. ქრისტიანობის შეგავლენით გულუბრივეო, გარეშე მტერთა ბრძოლით

ლონე მიხილინა, ერმა მოაპყრო თავის თვლები ჩრდილოეთს: იფიქრა იქაც ქრისტეს ჩემსავით აღიარებენ, ძალაც მათ ხელშია და მე მტრისაგან გულდაკოდილ დასშემოტობენ, წყლულს შემხვევენ და ისევ ფეხზე დასაყენებენო, ოცნებობდა მაშინ მრავალტანჯული ერი და ქვეყანა.

ქართველი ერი არასოდეს ისე საშინლად არ მოტყუებულა, როგორც ამ დროს. მეგობრის სახით მოსულმა მოსისხლე მტრმა, ჩვენს ქვეყანას ნაცვლად მურ თანაგრძობისა კისერზე დაადგამტად შიშე და აუტანელი უღელი საშინელი მონობისა; თვით მისი დამახლოვებელი ჩვენი ეკლესიაც არ დარდა. გაჰქურდა, გათვლო, განადგურა, მისი საუკეთესო მწყემსობივარნი მოსწყვიდა და აწამა და თვით ეკლესია განაღდა ჩვენი გადაგვარების და მოსპობის ერთ ერთ იარაღთ. დაატყვევა, შეხუთა და შეასუსტა ეროვნული სული; შეაჩერა მისი ცხოველმყოფელი შემოქმედება—მისი კულტურული მისწრაფება და თავისუფალი ისტორიული მსვლელობა. პირიდან ენა ამოგვეღვიჯა—მოგვისპო და მის ნაცვლად მოსისხლე მტერი თავის ცნას იძულებით გათვალისწინებდა, ვინაიდან მან კარგად იცოდა ჩვენი პოეტის თქმისა არ იყოს; არა ენა წარბდეს, გრი დაეცეს, ჩირქი წაეცხოს ტაძარსა წმინდას\*.

ქართველ ერს თავის ისტორიულ წასრულში ახსოვს ბევრი საშინელი, შეუბრალებელ მტერთა შემოსევა და ჩვენი ქვეყნის აოხრება და ნაცარმტვრად ქცევა, მაგრამ მისი ეროვნული სული იმდენად ძლიერი და ღონიერი იყო, რომ ყოველ ამ გვარ განადგურების შემდეგ, ის კვლავ აღდგებოდა და განახლებოდა, ვით ფენიქსი თავის ფერფლისაგან. რუსეთის 117 წლის მონობამ ჩვენს ერს კინადამ სულიც მოუკლა და განაწამებდა ქართველი ერისკენისი თვალცრემლიანი თავის ქვეყნის ყოველ კუთხეში მწარეთ დღადებდა: „აღსდევთამარ დედოფალო, აღდგინე საქართველო, სტარის შენთვის საქართველო“ კიდევ ნახევარი საუკუნე, რომ გაგრძელებულიყო ეს უკუღმართი პოლიტიკური გარემოება, იმ შემთხვევაში სულ მთლად განვიადგებოდით და მოვისპობოდით. მაგრამ ბოლოს სწორედ იმ დროს, როდესაც ხალხის ტანჯვა წამებამ მოაწია უმწვერვალეს შერთაღმდეგობას ქართველობა მომაკდინებლად ცოდვად იყო აღიარებული, და შეგნებულ ქართველს თავის საყვარელ და ღამაზს სიმშობლოში ადგილი არ ჰქონდა და ცივ და გაყინულ რუსეთში მიამგზავრებდენ, სწორედ ამ დროს დაემბო ჩვენი მტარვალი მტერი და მოულოდნელად გაიღო თავისუფლების კარები და მისმა ცხოველმყოფელმა სხივებმა მძლავრად შეინათა და შეამუქა ჩვენი ერის პოლიტიკურ ცხოვრებაში. აღსრულდა, ხორცი შეისხა დიდისის ნატურა—ოცნებამ და 117 წლის განაწამები მონა-თავისუფალი გახდა. შესრულდა ჩვენი მუდამ საყვარელ სათაყვანო მგონის, მუდამ ცოცხალის, აკაკის პოეტური წინასწარმეტყველება: „დამესხენი რუსეთლო, რა მატეს შენთან საზიარო. თვით ოხერო მოუფლეთო როგორ გინდა მომარო. გაყინული ცივი გული, სხვას რას გიბამს, თუ არ მტრობას. შეგიპყრივარ, როგორც ღომი გველეშაპსა ძალადობით, შენი ტყვე ვარ. მაგრამ ჩემს გულს ანუგეგმებს ის იმედი, რომ ოდესმე შენს ცხოველტულს მთლად დაღუწავს ჩემი ბედი“. მართლაც დაიღწია, დაიქცა, დაიმსხვრა ბატონობა ჩვენი ერის სიკაცობის გამწარებლისა და დღეს ჩვენ მონობისაგან თავდაღწეულნი ვდგასასწაულობთ, გვიმოშობ უკვე ერთი წლის ეროვნულ თავისუფლებას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ამანუდ უფრო და უმწვერვალესი ბედ-

ნიერება ქვეყანაზე წარმოუდგენელი შეუძლებელია, ვინაიდან თავისუფლება საუფლებელი, წყაროა ყოველივე სხვა ბედნიერებისა. 1801 წელს ჩატყდა ჩვენი ეროვნული ხიდი და 1918 წ. 26 მაისს ხელახლავ გვეთქა და განახლდა და ესლა მასზე თავისუფლად მიმოღიან იგეროს ძენი და ასულნი. ვახიარე, მრავალ ტანჯულ ქართველო ერო, 28 მაისი დღეა შენი სულიერი დაბადების, დღეა შენი ეროვნულ ვახიფულისა. წარმოიდგინე ის დიდი საკეთილდღეო შედეგები, რომელნიც მის თავისთავად მოჰყვება: ამისათვის 26 მაისი, დღეა შენი საშინლად ტყვეობა—მონობის მოსპობისა და ეროვნულ თავისუფლების დროშის აფრიალებისა, თქრის ასოებით წაუშლელათ სამუდამოთ აღბეჭდეთ შენს და შენს მომავალ შთამომავლობის გულის ფიციარზე. საერთოთ, ქართველ ერის ფართო მისის თავის ისტორიულ წარსულში არასოდეს არ ჰქონია განვითარებული თავისი ეროვნული შეგნება, ისე კარგათ, როგორც დღეს და ეს მეტად სასიამოვნო მოკლენა უსათუოდ თავდებია იმის, რომ ჩვენი თავისუფლება საშუალო და სამამრადისია, რომ ჩვენი ქვეყნის ძენი და ასულნი ვარს შემოერთებენ თავის საყვარელ სამშობლოს და მის თავისუფლებას ისე გაუფრთხილებიან, მის როგორც თავის საკუთარ თვალის გუგას, რა აკლინონ მას ყოველგვარი მოსალოდნელი განსაცდელი და ხიფათი.

ამიერიდან იწყება თავისუფალ საქართველოს ახალი ხანა, ხანა მისი პოლიტიკურ—კულტურულ, ეკონომიურ და ეკლესიურ ცხოვრების აღრძინება-აპყვავებისა და ამ გზით ის მკიდროს დაუკავშირდება თავისუფალ და განათლებულ ევროპის ერებს, რომელთა შორის ის დაიქრის თავის საპატიო ადგილს.

გაუმარჯოს ქართველ ერს ძლიერ ეროვნულ სულს, რომელსაც სძლია, დათურება, გადალახა ათასგვარი დამარცხებისა და მოაყვანა ჩვენი ერი და ქვეყანა დღევანდელ ბედნიერებამდე.

ვაშა, ვაშა იმ თავდადებულ მამულიშვილებს, რომელთაც დღევანდელი ბრწყინვალეების გზა გაუკაფს ტანჯულ სამშობლოს.

მადლი მღვთისა, მფარველობა ღვთისმშობლისა, რომლის წილხლმობილია ჩვენი ქვეყანა, ლოცვა და კურთხევა ქალწულ ნინოსი, მოწამე ქეთევანისა და თამარ მეფისა იყოს ჩვენს თავისუფალ სამშობლოზე ამიერიდან და უკუნისამდე.

**ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი.**

მადურ საინტენციატო ფასებში, რომ ეს ხიფათი სხვა-სხვა მიზნით მოხდება და ცენტრალური საბჭო, რომელიც თავის მოხურებს ურჩევს სიმინდს, შექარს სხვა სურსათის დაკლებულ ნორმალურ არა სპეკულიანტების ფასებში.

ყველასათვის ცხადია, რომ დღეს, გორკ საზოგადო ყველა დაწესებულების, აგრეთვე გოსპიტლის მოსამსახურე საშინელი ეკონომიურ კრიზისს განდიან. მოაგრობას არა ერთხელ გაუწიოთვის დახმარება სურსათით, ბ. ბ. გივორები კი ამასი რაღაც ბოროტ ქმედებას პოპულომენ და გაზეთების ფიციარში პატიოსან მუშაქს შავს წერტუნვენ შუბლზე.

ბ. ანდრია ამბოკაძე საოჯახო ნაწილ გამგეთ არის ვმ წელიწადი, იმას ბოროტ მოქმედებით დაეწყო ეს საბაზმებელი სასახური, დღეს მის საბაზამდგილი ექნება კაპიტალისტთა ბანკმაგრამ სინამდვილე ამას არ გვეუბნები. ამბოკაძეს ვინცობთ, როგორც კგულ, უანგარო, პატიოსან მუშაქს ერთ საუკეთესო ჩვენი რესპუბლიკში შვილს, დღეს როდესაც ნგრევის პრესს განვიციდით სანთლით უნდა გმბდეთ და საპატიო ადგილებს ვაწოდებდეთ არა ვერეკებოდეთ.

სომართლის პრინციპი მოითხოვს მოარობამ დანაშნოს გამოცთილი პირებისგან ხელ-ახალი კომისია და მოახინო გამოძევა კანონიერ ფარგლებში ბრადებულის თანდასწრებით.

შემო აღნიშნული რევიზია კი ბბ. რევიზორებმა მოახინეს სწორეთ მაშინ, როდესაც ანდრია ამბოკაძე თბილისში იყო გაწვეული სამხედრო გოსპიტლის სარევიზიოთუ, რითაც დარღვეულია ელემენტარული სამართლიანობა და დიდს აღშფოთებას იწვევს.

ბბ. რევიზორების თავის მოხსენებაში ტებთან იმისთანა საკითხს, რომელიც სრულებით იმათ კომპენტენციაში არ შედიის. ეს გახლავთ შტატების შემოკლება.

ბბ. რევიზორები ბრძანებენ „გაუქმდეს მღვდლის და მედავითნის შტატია“.

ეკლესიის საკითხი ყველამ უწყის და მუშუნებელი კრების საქმეა. როდესაც დაკანონდება აქტი ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფისა, მაშინ ეს საკითხი საყოველთაოთ მიიღებს კანონიერ საწკვიის.

გოსპიტალში უკანასკნელ ხუთი თვის განხილვობაში 270 კაცი გარდიცვალა. ფიქრობ, რომ მღვდელი იქირაონ გოსპიტალს მეტი ხარჯები დაეძება. თუ სინდისის თავისუფლების პრინციპით ვინდემდგანელებთ, ჯარის კაცთა მზრუნველპატრონი გოსპიტალია, 200—300 მიცვალეზულის უმღვდლოთ გათრევა მგონი ნადრევი და საქართა როცა ხალხის სახელით ვლაბარაკობთ—ცოტა ანგარიში გაუწიოთ მას და სულ საცილათ ნუ ავიგდებთ.

**მუხურელი.**

**მადლოვის გამოსხალვა.**

ქუთაისის პირველ ვაჟთა გიმნაზისთან ასახებული „ღარიბ მოწაფეთა დახმარებ საზოგადოება“ დიდ მადლობას უცხადებს იმ პირთ, რომელთაც ფულის, სანოვაციის შემოწირულებით და პირადი მონაწილეობით დახმარება გაუწია ამ საღამოს გამართვაში.

განსაკუთრებითა მადლობას უძღვნის ხსენებული საზოგადოების საღამოს დიასახლისებს: აღექსანდრე აბაშიძისას, ოლდა ანჯაფარიძისას და კატო ნისაბიშვილისას, რომლებმაც ეს საღამო მოაწვეეს. ანგარიში საღამოსი ცალკე ექნება გამოცხადებული.

**პრეზიდიუმი.**

**რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.**